შეიძინე ნებისმიერი კრიპტოაქტივი პირველად და მიიღე $5-ის ბიტკოინი საჩუქრად

თიბისი კრიპტოს კამპანიის (შემდგომში „კამპანია“) ფარგლებში, 2026 წლის 2 ივნისის 13:00 საათიდან, პირველი 1000 მომხმარებელი, რომელიც თიბისის მობაილბანკში პირველად შეიძენს კრიპტოაქტივს, საჩუქრად მიიღებს $5-ის ეკვივალენტ ბიტკოინს.

კამპანიის დეტალური წესები და პირობები (შემდგომში „პირობები“)

- კამპანია იწყება **2026 წლის 2 ივნისის 13:00 საათზე.**
- კამპანია ვრცელდება მხოლოდ იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც **2026 წლის 2 ივნისამდე** თიბისის მობაილბანკში კრიპტოაქტივი არ შეუძენიათ.
- წინამდებარე კამპანიის მიზნებისთვის, მომხმარებლად მიიჩნევა პირი, რომელსაც 2026 წლის 2 ივნისის 13:00 საათამდე თიბისის მობაილბანკში არ აქვს შესრულებული კრიპტოაქტივის ყიდვის დავალება და რომელმაც 2026 წლის 2 ივნისის 13:00 საათიდან პირველად შეასრულა კრიპტოაქტივის ყიდვის დავალება.
- კამპანიაში მონაწილეობს მხოლოდ მომხმარებლის პირველი წარმატებით დასრულებული კრიპტოაქტივის ყიდვის დავალება, რომელიც შესრულდება 2026 წლის 2 ივნისის 13:00 საათიდან.
- კამპანიაში ჩაერთვება მხოლოდ **წარმატებით დასრულებული კრიპტოაქტივის ყიდვის დავალება.**
- კამპანიის ფარგლებში საჩუქარს **მიიღებს პირველი 1000 (ერთი ათასი)** მომხმარებელი, რომელიც დააკმაყოფილებს კამპანიის პირობებს.
- თითოეულ მომხმარებელს კამპანიის ფარგლებში საჩუქრის მიღება შეუძლია **მხოლოდ ერთხელ.**
- მომხმარებლის მეორე და ყოველი შემდგომი ყიდვის დავალება კამპანიაში მონაწილეობას არ მიიღებს.
- საჩუქარი წარმოადგენს **$5-ის** (ხუთი აშშ დოლარი) ეკვივალენტ **ბიტკოინს** (შემდგომში - „საჩუქარი“).
- გადასაცემი ბიტკოინის რაოდენობა განისაზღვრება მომხმარებლის კრიპტო-ანგარიშზე დარიცხვის მომენტში არსებული თიბისის მობაილბანკის კრიპტო-მოდულში შემოთავაზებული საბაზრო კურსის მიხედვით.
- საჩუქარი დაირიცხება მომხმარებლის კრიპტო-ანგარიშზე დავალების შესრულებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, ხოლო დარიცხვის შესახებ მომხმარებელი მიიღებს დამადასტურებელ SMS-ს.
- კამპანია ვრცელდება მხოლოდ **18 წელს** ზემოთ თიბისის მობაილბანკის კრიპტო-მოდულის მომხმარებლებზე.

- კამპანიაში მონაწილეობისა და საჩუქრის მიღებისთვის აუცილებელია, მომხმარებელმა შეინარჩუნოს აქტიური კრიპტო-ანგარიში საჩუქრის დარიცხვის მომენტამდე.
- ბანკი უფლებამოსილია გადაამოწმოს დავალების შესაბამისობა კამპანიის პირობებთან.
- საეჭვო, არამართლზომიერი ან თაღლითური ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მომხმარებელი გამორიცხოს კამპანიიდან და არ გადასცეს საჩუქარი.
- ბანკი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ ბანკში დაფიქსირებული არასწორი ან არააქტიური საკონტაქტო ინფორმაციის გამო შეტყობინების მიუღებლობაზე.
- ბანკი არ არის პასუხისმგებელი კამპანიაში მონაწილეობის შეუძლებლობაზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური შეფერხებით ან/და ბანკის კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებული გარემოებებით.
- **პირველი 1000** (ერთი ათასი) მომხმარებლის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ კამპანია ავტომატურად დასრულდება.
- მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ კამპანია არ წარმოადგენს ბანკის მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ ან სხვა სახის ფინანსურ რჩევას. ბანკი პასუხისმგებლობას არ იღებს მომავალ ფინანსურ შედეგებზე.
- ბანკი არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია კამპანიის ან კამპანიის ფარგლებში მიღებული საჩუქრის არამართლზომიერი გამოყენებით ან/და წინამდებარე პირობების დარღვევით.
- წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მომხმარებელსა და ბანკს შორის გაფორმებული კრიპტო-მოდულის წესებითა და პირობებით.
- ბანკი უფლებამოსილია, თავად და დამოუკიდებლად, ნებისმიერ დროს შეცვალოს კამპანიის პირობები, შეაჩეროს ან/და ვადამდე დაასრულოს კამპანია.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

გაითვალისწინე, ეს არ არის ფინანსური რჩევა. კრიპტოაქტივის ღირებულება ცვალებადია და დაკავშირებულია რისკებთან. კრიპტოაქტივის შეძენამდე ყურადღებით გაეცანი კრიპტო-მოდულის გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს, **წესებსა და პირობებს.**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

(0322) 27 27 27

support@tbcbank.ge